ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4131317

ნომერი: AR1623486

თარიღი : 16.08.2018

გაცემის თარიღი : 22.08.2018

გაცნობის თარიღი : 23.08.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვ. აბაშიძე , N 4; ქალაქი თბილისი , ქუჩა ვ. აბაშიძე , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ შაველაშვილი პ/ნ 01901124594
- თბილისი ვ.აბაშიძის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ოთარ შაველაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01901124594

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ტატო საგინაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ვ. აბაშიძის ქ. N4-ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, ვ. აბაშიძის ქ. N4-ში მდებარე შენობის I სართულზე, განხორციელებული უნებართვო სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო მოქალაქე ოთარ შაველაშვილის მიმართ გაიცა N003845 (27.07.2018 წ.) მითითება.
განგიმარტავთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 24–ე მუხლის თანახმად აკრძალულია ძეგლზე რაიმე სამუშაოების ჩატარება ამ კანონით დადგენილი შესაბამისი ნებართვის გარეშე. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებიც და უძრავი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც საჭიროებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების ნებართვას. თქვენს მიერ მოთხოვნილი სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე ვრცელდება საქართველოს კანონი "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ". აღნიშნული კანონი კი არ ითვალისწინებს, ძეგლზე შესაბამისი ნებართვის მიღებამდე სამშენებლო სამუშაოების წარმოებას და ძეგლზე უკვე ნაწარმოებ სამუშაოებზე ნებართვის გაცემას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ქ. თბილისში, ვ. აბაშიძის ქ. N4-ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ნებართვის გაცემის თაობაზე თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.